

თიბისი ბანკის პროექტმა საინფორმაციო ტექნოლოგიების კონკურსში ბაიმაჩვენა

პრესრელიზი

თბილისი, 30 ოქტომბერი, 2008 – დღეს, 16:00 საათზე, სასტუმრო "შერატონში" დაგეგმილია საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში საუკეთესო ინოვაციური პროექტების გამოვლენა და დაჯილდოება. ნომინაციაში "საუკეთესო კომპლექსური ბიზნეს გადაწყვეტილება" გამარჯვებულად გამოცხადდება თიბისი ბანკის მიერ წარდგენილი "საინტეგრაციო პლატფორმის პროექტი".

კონკურსი ტარდება საინფორმაციო ტექნოლოგიების ინოვაციებისადმი მიძღვნილი პირველი ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, რომელიც "შერატონში" 29-30 ოქტომბერს იმართება.

ჟიური შედგება ეკონომიკის დარგის ექსპერტების, ბიზნესისა და განათლების სფეროს, ასევე, არასამთავრობო სექტორისა და მასმედიის წარმომადგენლებისგან. ჟიურის მიერ, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მიღწეული ინოვაციებისთვის, 13 ნომინაციაში დასახელდება სახელმწიფო და ბიზნესის სექტორის საუკეთესო პროექტები.

კონფერენცია იმართება „იუ-ჯი-თის“ (UGT), „მაიკროსოფტის“ (Microsoft), „ეიჩპის“ (HP), „ინტელ სოფტლაინ უკრაინას“ (Intel, SoftLine Ukraine), „სოფტლაინ ინტერნეიშენალის“ (SoftLine International), „ორიენტ ლოჯიკის“ (Orient Logic) ფინანსური მხარდაჭერითა და ამერიკის სავაჭრო პალატასთან (AmCham), „აითილისისთან“ (ITDC) და „ჯორჯიან ბიზნეს კონსალტინგთან“ (GBC) თანამშრომლობით.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ელ-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ თიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody's: B 3 and Ba1